



შუახევის მუნიციპალიტეტის მერის
ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

დაბა შუახევი

N 06-135
19/02/2018



სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების
დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის – „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის 86¹
მუხლის საფუძველზე ვბრძანებ:

1. შეიქმნას შუახევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო შემდეგი
შემადგენლობით:

- 1.1 ბეჟან დიასამიძე – სოფელ ფურტიოს მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.2 ნათელა ბახტაძე – სსიპ „ცინარეთის საჯარო სკოლის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
- 1.3 თამაზ ტაკიძე – სოფელ ჭვანის მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.4 ფრიდონ ფუტკარაძე – სოფელ შუბნის მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.5 მზია გოგაძე – სსიპ „შუახევის საჯარო სკოლის“ დირექტორი, საბჭოს წევრი;
- 1.6 პაატა ქათამაძე – სსიპ „სოციალური მომსახურების სააგენტოს“ შუახევის რაიონული
განყოფილების სოციალური მუშაკი, საბჭოს წევრი;
- 1.7 შუშანა ფუტკარაძე – სოფელ პაპოშვილების მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.8 ბადრი ქათამაძე – სს „გომარდულის“ სასტუმრო გომარდულის მენეჯერი, საბჭოს
წევრი;
- 1.9 ლელა ფუტკარაძე – არასამთავრობო ორგანიზაცია „მერსი ქორფის“ კავკასიის
ალიანსების პროგრამების დასავლეთ საქართველოს კოორდინატორი, საბჭოს წევრი;
- 1.10 შაქრო ხიმშიაშვილი – სოფელ ნიგაზეულის მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.11 გელა აბაშიძე – სოფელ ქიძინიძეების მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.12 გურამ ბერიძე – სოფელ ბრილის მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.13 რომან დუმბაძე – დაბა შუახევის მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.14 ვასო ხიმშიაშვილი – დაბა შუახევის მცხოვრები, საბჭოს წევრი;
- 1.15 1.15 მერაბ მაკარაძე – სოფელ ოლადაურის მცხოვრები, საბჭოს წევრი. (01/03/2018;
№06-143)
- 1.16 ნოდარ დავითაძე – ა(ა)იპ „აჭარის ა. რ. ომის, შრომის, სამხედრო ძალების ვეტერანთა
გაერთიანება „ომგადახდილის“ შუახევის ფილიალის წარმომადგენელი, საბჭოს წევრი.
(01/10/2018; №06-726)

1.17 ვაჟა დავითაძე – ბიზნესმენი, საბჭოს წევრი. (14/02/2019; №06-80)

2. დამტკიცდეს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს დებულება თანდართული დანართის
მიხედვით.

3. ბრძანების ამოქმედებისთანავე ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სამოქალაქო

მრჩეველთა საბჭოს შექმნისა და საბჭოს დებულების დამტკიცების შესახებ“ შუახევის მუნიციპალიტეტის მერის 2017 წლის 29 დეკემბრის №06-1245 ბრძანება.

4. ბრძანების გასაჩივრება შეიძლება დაინტერესებული მხარისათვის გაცნობის დღიდან ერთი თვის განმავლობაში ხელვაჩაურის რაიონულ სასამართლოში შემდეგ მისამართზე: ქ. ბათუმი, ფრიდონ ხალვაშის გამზირი №358.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

ფრიდონ ფუტყარაძე



მუნიციპალიტეტის მერი
ხელმძღვანელობა

შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა
საბჭოს დებულება

მუხლი 1. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო

1. შუახვევის მუნიციპალიტეტის მერიის სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო (შემდგომში საბჭო) არის შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის (შემდგომში მერი) სათათბირო ორგანო, რომლის უფლებამოსილებები განისაზღვრება ამ დებულებითა და საქართველოს ორგანული კანონით - „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსით.

2. საბჭოს შემადგენლობა განსაზღვრულია 10 წევრით. საბჭოში ერთი სქესის წარმომადგენელთა რაოდენობა არ არის 1/3-ზე ნაკლები.

მუხლი 2. საბჭოს ფუნქციები და საქმიანობის წესი

1. საბჭო იკრიბება 3 თვეში ერთხელ მაინც.

2. საბჭო მერის წარდგინებით განიხილავს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროექტს, მუნიციპალიტეტის სივრცითი დაგეგმარების დოკუმენტებს, მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული ობიექტების სახელდების შესახებ წინადადებებს, აგრეთვე სხვა მნიშვნელოვანი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების, ინფრასტრუქტურულ და სოციალური პროექტებს.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტები საბჭოს წარედგინება წერილობით მერის მიერ მისი საკრებულოში წარდგენამდე 15 დღით ადრე მაინც.

4. საბჭო განსახილველად წარდგენილ დოკუმენტებს განიხილავს და თავის გადაწყვეტილებას მერს წარუდგენს მიღებიდან 7 დღის ვადაში.

5. საბჭოს გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს სხდომაზე დამსწრე ყველა წევრი.

6. საბჭოს სხდომებს იწვევს, ორგანიზებას უწევს და უძღვება საბჭოს თავმჯდომარე.

7. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

8. საბჭოს გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით.

9. ხმების თანაბრად განაწილების შემთხვევაში გადამწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

10. საბჭოს ყველა წევრი ვალდებულია ხელი მოაწეროს სხდომის ოქმს.

11. საბჭოს ყველა წევრი უფლებამოსილია სხდომის ოქმს დაურთოს თავისი განსხვავებული მოსაზრება, რომელიც აუცილებლად შეტანილი უნდა იქნას ოქმში.

12. საბჭო უფლებამოსილია ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებულ საკითხებზე მერს წინადადებები და მოსაზრებები წარუდგინოს საკუთარი ინიციატივითაც.

13. საბჭოს გადაწყვეტილებებს აქვეყნებს ან/და საჯაროდ აცხადებს შუახვევის მუნიციპალიტეტის მერია.

14. საბჭოს წევრის საქმიანობა არ ანაზღაურდება.

მუხლი 3. საბჭოს ხელმძღვანელობა

1. საბჭოს პირველ სხდომას უძღვება საბჭოს უხუცესი წევრი.

2. საბჭოს ხელმძღვანელობს საბჭოს თავმჯდომარე, რომელსაც 1 წლის ვადით, თავისი შემადგენლობიდან ღია კენჭისყრით ირჩევს საბჭო. კენჭისყრა ტარდება დახურულად, თუკი მოთხოვნა იქნება არანაკლებ 3 წევრისა.

3. საბჭოს თავმჯდომარის კანდიდატურის წარდგენის უფლება აქვს საბჭოს 3 წევრს.

დაუჭერს სხდომაზე დამსწრე წევრთა ნახევარზე მეტი.

5. საბჭოს თავმჯდომარე:

ა) იწვევს, ორგანიზებას უწევს და უძღვებს საბჭოს სხდომებს, აფორმებს სხდომის ოქმს. ბ)

წარადგენს საბჭოს მერთან და სხვა პირებთან ურთიერთობაში.

მუხლი 4. საბჭოს მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა

საბჭოს საქმიანობას ხელს უწყობს და ორგანიზებაში დახმარებას უწევს შუახვევის მუნიციპალიტეტის მერის ადმინისტრაციული სამსახური, რომელიც საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით გამოყოფს სხდომის ჩატარების ადგილს, უზრუნველყოფს ტექნიკითა და საკანცელარიო მასალებით.

მუხლი 5. სხვა დებულებანი

დებულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა ხდება მერის ბრძანებით.